სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080142817474416

 # 1521 **19** / მაისი / **2016** წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 16 მაისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის SMP160001388 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს დუშეთის მუნიციპალიტეტში შუაფხო-უკანაფშავის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამშენებლო სამუშაოების (CPV-45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები) შესყიდვას.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ძლიერმა წვიმებმა 2016 წლის 29-30 აპრილს გამოიწვია შუაფხო-უკანაფშავის საავტომობილო გზაზე მეწყერის ჩამოწოლა, რის გამოც ჩაიკეტა საავტომობილო გზა. საავტომობილო გზა მთელ სიგრძეზე გასაწმენდია ჩამოცვენილი ქვა-ღორღისაგან. 100 მეტრიან მონაკვეთზე ჩამოყრილია კლდოვანქვიშოვანი მასა დიდი რაოდენობით, იშლება გზის ქვედა მხარეც. მეორე 200 მეტრიან მონაკვეთზე არსებულ გაბიონთან ჩამოცვენილია კლდოვანქვიშოვანი მასა და გზის ნაწილი მოწყვეტილია წყლის მიერ. კალაპოტიდან გადმოვიდა ადიდებული არაგვი და დაანგრია საავტომობილო გზის ნაწილი. შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, დუშეთის მუნიციპალიტეტის უკანაფშავის ადმინისტრაციული ერთეული მოწყვეტილია გარე სამყაროს. არსებული გზის დაზიანების გამო ვერ ხერხდება სასწრაფოს დახმარების მისვლა დანიშნულების ადგილზე, რის გამოც საფრთხე ექმნება ადამიანების სიცოცხლეს.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც მომართვაშია მითითებული, შემსყიდველი ორგანიზაცია წინასწარ ვერ განსაზღვრავდა შესყიდვის საჭიროებას. ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, უკანაფშავის ადმინისტრაციული ერთეული მოწყვეტილია გარე სამყაროს. არსებული გზის დაზიანების გამო ვერ ხერხდება სასწრაფოს დახმარების მისვლა დანიშნულების ადგილზე, რის გამოც საფრთხე ექმნება ადამიანების სიცოცხლეს. შესაბამისად, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია შემსყიდველმა ორგანიზაციამ, შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის SMP160001388 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.



თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ზაზა ნანობაშვილი